პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1981 წელი ოთხშაბათი 18 თებერვალი № 40 (17982) ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ჩქაროსნული მეთოდით

ფოთი. (საკ. კორ.). ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის კოლექტივი სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაბმულ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევს.

ნავსადგურის ნავმისმყვარე კოლექტივმა იანვარში გეგმის გადამეტებით 30 ათას ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაამუშავა. აქ შეფასული ყველა გემი რეისში ადრე გავიდა.

ერკალგამოუღლელად შრომობენ ოსტერ-მექანიზატორთა ის კოლექტიური ბრიგადები, რომლებსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. გოგოლი, ნ. ბაკულა, მ. გერგაულოვი, ა. ბოლქვაძეშვილი, ბ. ღურწკაია, მ. ბერსენიევი, ვ. ტურძელაძე და ბ. ბურცილავა ხელმძღვანელობენ. ამათ გადაწყვიტეს იანვარ-თებერვლის გეგმები ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდი ფორუმის გახსნის დღისათვის შეასრულონ.

• •

ვადაზე ადრე

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივი წლის პირველი დღეებიდანვე სწრაფი ტემპით შრომობს. იანვარში მან 3.900 ათასი მანეთის ნაცვლად 4.485 ათასი მანეთის პროდუქცია დაამზადა. თებერვალში ტემპმა უფრო იმატა. იბრძვიან იმისათვის, რომ სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღეს ორი თვის გეგმა შეასრულონ.

ბევრი მაჩვენებლები აქვთ ფერმენტაციის უბნის მწნეხაებს: ა. გოჩაძეს, ი. ბოლქვაძეს, ზ. ინაკლებს ვ. შარტილოვს, გ. ჩაგანავას და სხვებს.

ბათუმური პროდუქცია იგზავნება მოსკოვში, ხარკოვში, გროზნოში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. კოლექტივმა ერთსულოვნად იკისრა ვალდებულება 1981 წლის დავალება 7 ნოემბრისათვის შეასრულოს და გეგმის გადამეტებით 300 ათასი მანეთის პროდუქცია აწარმოოს.

სიტყვა სკკპ XXVI ყრილობის დელეგატზე

ხელხვავიანად...

თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების ნებისმიერ ქარხანაში ნებისმიერ ახალბედა მუშას რომ ჰკითხოთ, ნინო გრებენიკოვას თუ იცნობო, გაკვირვებით შემოგხედავთ და გეტყვით, როგორ თუ არ ვიცნობო. ამ ნათქვამში არაფერი გეგონოთ გადაჭარბებული. ეს სრული ჭეშმარიტებაა. აქ მოსულ ახალგაზრდას, ჩვეულებრივ ჯერ გაერთიანების ისტორიას, მისი კოლექტივის შრომითს ტრადიციებს, საწარმოს ვეტერანებს აცნობენ. ჰოდა, ნინო გრებენიკოვა ხომ გაერთიანების შექმნის, მისი წინსვლის, წარმატებისა და წარუმატებლობის ცოცხალი მატიანეა.

32 წელიწადია, რაც ეს ქალი პლასტმასის წარმოების თერმოპლასტების გადასამუშავებელი საამქროს ჩამომსხმელია. 1949 წელს, როცა იგი აქ მოვიდა, მაშინ გაერთიანების ხსენებაც არ იყო. იმ დროისათვის არსებობდა თბილისელებისათვის კარგად ცნობილი, ქალაქის ერთ-ერთი დიდი საწარმო — „პლასტმასის“ ქარხანა, რომელიც მოგვიანებით „ელექტროაპარატის“ შემადგენლობაში შევიდა. რას იზამ, დრონი მეფობენ, შეიცვალა მასშტაბები: ახლა ოდესღაც დამოუკიდებელი საწარმო გაერთიანების მეთაური ქარხნის უბანია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იქაც რამდენიმე საამქროა, რომლებშიც ათასობით ადამიანი მუშაობს. ამ მშრომელთა შორის ათეული წლების მანძილზე ნინო გრებენიკოვას სახელი ვარსკვლავივით კიაფობს.

წარმოშობით გრებენიკოვა ვორონეჟის ოლქის სოფელ ბელოგორიიდან ყოფილა. თბილისისათვის შემთხვევით, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, კანონზომიერად დაუკავშირებია თავისი ბედი. საშუალო სკოლა რომ დაუმთავრებია, იმ პერიოდისთვის სრულწლოვანი გამხდარა და მშობლებს მარტო გამოუშვიათ თბილისში მცხოვრები ორი უფროსი დის სანახავად. მოსწონებია აქაურობა, მოხიბლულა ჩვენი ხალხით და აქ დარჩენა გადაუწყვეტია. სამუშაოდ „პლასტმასის“ ქარხნისათვის მიუშურებია და პირველი დღეებიდანვე საქმეს იმეცადინა მუყაითობით შეხდგომია.

კომკავშირელ ქალიშვილს რამდენიმე თვეში მტვიფრავის, მბრეწელისა და მბურღვის პროფესიები აუთვისებია. თუ გვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალობის დაუფლებას სულ ცოტა ერთი წელი მაინც სჭირდება, ნათელი გახდება, რარიგ მონდომებით მოკიდებია ახალგაზრდა მუშა ქალი თავის მოვალეობის შესრულებას. შემდგომში თვითმყოფადი ნიჭის გაფურჩქვნას წინ აბა რაღა დაუდგებოდა. მალე სხვა პროფესიებიც შეუსწავლია და უნივერსალური მუშა გამხდარა.

მოწინავე ქალიშვილი მაშინვე ჩაბმულა ქარხნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და კომკავშირულ და პროფკავშირულ დავალებებსაც აქტიურად ასრულებდა. 1957 წელს კომუნისტური პარტიის რიგებში მიუღიათ და მალე საამქროს პარტბიუროს წევრად აურჩევიათ.

სათნო, მეტად გულისხმიერ ადამიანთან დამეგობრებას ბევრი ლამობდა და ისიც ყველას უწვდიდა მეგობრობის ხელს. მეგობრობის არსს ნინო ადამიანის დახმარებაში ხედავდა და ხედავს. ათობით, დიახ ათობით ახალბედა ქართველ მუშა ქალაშვილს შეაყვარა თავისი საქმე ვორონეჟელმა შრომის ვეტერანმა.

— ბევრი ბედნიერი წუთი განმიცდია ცხოვრებაში, — ამბობს ნინო გრებენიკოვა, — მაგრამ ყველაზე დიდი სიხარული მაშინ განვიცადე, როცა საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე სკკპ XXIV ყრილობის დელეგატად ამირჩიეს. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, ჩემი მუშაობის შედეგები უფრო დამაჯერებელი გახდა და ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა: პარტიამ და მთავრობამ ლენინის ორდენითა და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დამაჯილდოვა. სულ ახლახანს კი კვლავ ამირჩიეს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ XXVI ყრილობის დელეგატად. დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩემი სიხარული გაიზიარა, ვინც გვერდით მედგა შრომაში და მეგობრობის ხელს მიწვდიდა.

შრომის ვეტერანი ქალი მოსკოვს ხელხვავიანად მიდის. მეათე ხუთწლედის გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულა და საწარმოს ათი კვალიფიციური მუშა აღუზარდა. მიმდინარე წლის ორი თვის დაძაბული გეგმის შესრულება ნინომ ყრილობაზე გამგზავრებამდე 19 თებერვლისათვის იკისრა. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში იგი თან წაიღებს გაერთიანება „ელექტროაპარატის“ კოლექტივის გაზრდილ ვალდებულებას, რომელიც წლის დამლევამდე გეგმას გადამეტებით 400 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებს. ეს ათასობით მაგნეტური სადგურის, ელექტროამამუშავებლის, ელექტროავტომატის, სასიგნალო არმატურისა და პლასტმასის დეტალების დამზადებას გულისხმობს.

შ. ამაშუკელი.

„კომუნისტის“ კორ.

სურათზე: სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ნინო გრებენიკოვა.

ვლ. რუსეცკის ნახატი.

ორგონიკიძე. (საკ. კორ.).

მარელისის გრეხილა ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი ღირსეულად ხვდება სკკპ XXVI ყრილობას.

შარშან მეავეჯეებმა მომხმარებელს მიაწოდეს 408 ათასზე მეტი სკამი, რომლის 39,2 პროცენტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით იყო დამზადებული. წარმოებული 83 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციიდან 30 ათასი მანეთის ავეჯი დაზოგილი ნედლეულისაგან მიიღეს.

მეთერთმეტე ხუთწლედი ფაბრიკის კოლექტივმა დიდი აღმავლობით დაიწყო. იანვრის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა და თებერვალში შრომის ტემპს უფრო უმატა.

საქართველოს რესპუბლიკის საკავშირო დროშით აღჭურვილი ეს ბრიგადა ბევრ ლამობს, ოღონდ ეს ბრიგადა ბევრ ლამობს, ოღონდ ეს ბრიგადა ბევრ ლამობს, ოღონდ

ალმშენებლობის პროგრამა

XXVI სკკპ ყრილობის შესახებ

„საბჭოთა პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის „ასაკ ალექსეის ძე კოსიგინის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ეროვნული ეკონომიკის 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“

კომუნისტური პარტიის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის უმაღლესი მიზნის — ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების მიღწევაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვაჭრობას, რომლის მეშვეობით ძირითადად კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა სახალხო მოხმარების საქონელზე.

პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში ნათქვამია: **„შევქმნათ პირობები, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მთელი მოსახლეობის მოთხოვნილება მაღალხარისხოვან და მრავალფეროვან კვების პროდუქტებზე, სამრეწველო საქონელზე, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებზე“.**

მეათე ხუთწლედში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული ვაჭრობის განვითარებასა და სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილებისათვის. როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებანი თითქმის ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით შესრულდა. რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა გეგმით გათვალისწინებული 32 პროცენტის ნაცვლად 34,6 პროცენტით გაიზარდა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონელბრუნვა ერთ სულ მოსახლეზე. ზრდის ტემპი რესპუბლიკაში 5,5 პუნქტით მეტია საშუალო საკავშიროსთან შედარებით.

გარკვეული ძვრები მოხდა მეათე ხუთწლედში საქონელბრუნვის სტრუქტურის გაუმჯობესებ ი ს მხრივაც. ძირითადი სასურსათო საქონლის მოხმარება დაუახლოვდა რეკომენდებულ ნორმებს. თუმცა რესპუბლიკაში მაინც დაბალია ისეთი პროდუქტების მოხმარების დონე, როგორიც არის ხორცი და მისი პროდუქტები, თევზი და თევზეული, კვერცხი, ბოსტნეული. სწორედ ასეთი მდგომარეობა იწვევს საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების მაღალ დონეს.

უფრო ჩქარი ტემპით იზრდებოდა სამრეწველო საქონლის რეალიზაცია, განსაკუთრებით კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლისა.

XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში დიდი პერსპექტივებია დასახული მოსახლეობის მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების უპირატესი განვითარების, ხარისხის გაუმჯობესების, განსაკუთრებით საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების, სასურსათო პროგრამის წარმატებითი რეალიზაციის, დაფასებული საქონლის გამოშვების გაზრდისა და სხვა საკითხებზე, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების როლის გაძლიერება, მისი უპირატესი განვითარება მოსახლეობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. ამოცანა ის არის რომ გავაუმჯობესოთ სამუშაო და სწავლების ადგილას მუშა-მოსამსახურეების, კოლმეურნეების და ყველა ტიპის სასწავლებლთა მოსწავლეების ცხელი კერძებით უზრუნველყოფა.

ახალი მოთხოვნების შესაბამისად არის ჩამოყალიბებული სამომხმარებლო კოოპერაციის — სოფლად ვაჭრობის ამ მრავალფეროვანი სისტემის შემდგომი განვითარების ამოცანები სანედლეულო და სასურსათო რესურსების გადადებისათვის.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო ვაჭრობას, როგორც მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის ერთერთ წყაროს. დასახულია საკოლმეურნეო ბაზრების ქსელის განვითარებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ამოცანა, კერძოდ დახმარება გაეწიოს მოსახლეობას პირად საკარმიდამო მეურნეობებში და ბენეფიციარ-მებოსტნეების ამხანაგობებში წარმოებული ნაკეთრი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიტანასა და რეალიზაციაში.

და ბოლოს, ვაჭრობაში სრული სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება, ნეგატიურ მოვლენებთან იმ ბრძოლის წარმატება, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს რესპუბლიკაში, სასურველ შედეგს მოგვცემს, თუ ამ საქმეში ფართოდ ჩაებმება საზოგადოებრიობა. ამის გამო აღნიშნულ დოკუმენტში ჩაწერილია: გავაძლეროთ საზოგადოებრიობის კონტროლი ვაჭრობის საწარმოთა მუშაობისადმი.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ფართო პროგრამის განსახორციელებლად, რომელსაც პარტია გვისახავს, მიზნშეწონილად მიგვაჩნია ძირითად მიმართულებებში აისახოს შემდეგი წინადადებები: განისაზღვროს საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაფართოებისა და დაფასოებული საქონლის გამოშვების მოცულობა; საბითუმო ბაზების როლისა და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად საცალო სავაჭრო ქსელის საჭირო ასორტიმენტის საქონლით შეუფერხებელი მომარაგებისათვის გათვალისწინებული იქნეს მათი საქმიანობის ცენტრალიზაცია ქვეყნის მასშტაბით; დაემატოს პასუხისმგებლობის საკითხი საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისა (ფირმეზისა, გაერთიანებებისა, სწესდებო უნივერმაღებისა), მათში შემავალი მაღაზიების საჭირო ასორტიმენტის საქონლით შეუფერხებელი მომარაგებისა და საქონლებრუნვის გეგმების შესრულებისათვის; საზოგადოებრივი კვების როლის ამაღლებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ იქნეს მისი ცალკე დარგად ჩამოყალიბება; დაზუსტდეს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მართვის გენერალური სქემები და მოხდეს მათი რეალიზაცია მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანების შესაბამისად.

გ. შუგლაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სახალხო მოხმარების საქონლეზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის საკავშიროო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი.

ვაჭრობა: მთავარი ხარისხი, ასორტიმენტი

გამოხმაურება • წინადადება • მოსაზრება

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სოფლის მეურნეობის მკვეთრ განვითარებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

ზრდის სწრაფი ტემპია გათვალისწინებული მეცხოველეობაში, განსაკუთრებით მეფრინველეობაში, კერძოდ, კვერცხითა და ფრინველის ხორცით მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეში, საერთოდ კი ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

მეათე ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდმნიშვნელოვანი ძვრები მოხდა მეცხოველეობაში და კერძოდ — მეფრინველეობაში. აბაზე ნათლად მეტყველებს ციფრები.

თუ მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკაში დამზადდა 1.199 მილიონი ცალი კვერცხი და 31 ათასი ტონა ფრინველის ხორცი, მეათე ხუთწლედში კვერცხის სახელმწიფოსათვის მიყიდვა გადიდდა 68 პროცენტით, ხორცისა — 76 პროცენტით, ანუ 817 მილიონი ცალი კვერცხით და 24,6 ათასი ტონა ფრინველის ხორცით.

1972 წელთან შედარებით 1980 წელს სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვა გაიზარდა 48 პროცენტით, ფრინველის ხორცისა— 1,5-ჯერ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო მითითებითა და მხარდაჭერით მეათე ხუთწლედში გაიზარდა საწარმოო სიმძლავრეები. საექსპლოატაციოდ გადაეცა 68 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეპროდუქტორების მშენებლობის საქმეს. მწყობრში ჩადგა თეთრი წყაროს სახორიკე მამართულების სანაშენე ქარხანა, ახმეტაში, თელავსა და წიფილწყაროში აშენდა მეორე რიგის რეპროდუქტორები, რითაც დადებითად წყდება ჰიბრიდული მალპროდუქტიული ფრინველის მომრავლების საქმე. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო მეფრინველეობის დაჩქარებული ტემპით განვითარებისათვის. 11 მეფრინველეობის ფაბრიკა რეკონსტრუირებული ან მოდერნიზებულია.

მეფრინველეობის — ამ სწრაფად მზარდი დარგის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანისათვის მეთერთმეტე ხუთწლედი რესპუბლიკაში დიდი გარდატეხის ხუთწლედი იქნება.

1951-1985 წლებში მშენებლობის ხაზით გამოიყოფა 108 კვერცხის წარმოება 788 მილიონი ცალით გაიზრდება, ფრინველის ხორცისა კი 20,9 ათასი ტონით.

1985 წელს 1 მილიარდი ცალი კვერცხი და 57 ათასი ტონა ფრინველის ხორცი უნდა ვაწარმოოთ. აქედან 30 ათასი ტონა ბროილერის ხორცი იქნება. მომავალში რესპუბლიკაში კვერცხის წარმოება 1.200 მილიონამდე გაიზრდება.

ამ პროგრამის შესრულება უზრუნველყოფს რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებას კვერცხსა და ფრინველის ხორცზე, ხოლო 1982 წლიდან კი საქართველოში სხვა რესპუბლიკებიდან არ შემოვიტანთ კვერცხს. განხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში მითითებულია, რომ მომავალში განვითარდეს კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობა და მოსახლეობასთან კოოპერირების გზით ამატოს ხორცის წარმოებამ. კავშირში ჩვენი რესპუბლიკა ერთერთი პირველთაგანია, რომელმაც მოსახლეობასთან კოოპერირების გზით დაიწყო ფრინველის ხორცის წარმოება.

უკვე გამოიკვეთა კოოპერირების დადებითი შედეგები. ვფიქრობთ, მომავალში მასობრივად, ფართო მასშტაბით მოეწყობა კოოპერირება მოსახლეობასთან. ამჟამად გაერთიანებაში მუშავდება ვრცელი პროგრამა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისათვის იმ ვარაუდით, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში 10 მილიონზე მეტი ბროილერის წიწილა მივყიდოთ მოსახლეობას კოოპერირების წესით.

გარდა ამისა, უზრუნველყოფთ არასპეციალიზირებული მეურნეობის მოთხოვნილებას ერთდღიან წიწილებსა და მოზრდეულზე.

რესპუბლიკაში მეფრინველეობის დარგის წინაშე მდგომი იმ ამოცანების დადებითად გადაწყვეტას, რომლებიც მეთერთმეტე ხუთწლედში და შემდგომ პერიოდშია დასახული, დიდი მნიშვნელობა აქვს დარგის შემდგომი განვითარებისა და ამავე დროს სასურსათო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების კომპლექსური განხორციელებისათვის. ჩემი აზრით ახლა ძნელი წარმოსადგენია მეფრინველეობის განვითარება, ხორცისა და კვერცხის წარმოების გადიდება კომპლექსური მექანიზაციის დაუნერგავად. ამიტომ ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ მინიმუმამდე შევამციროთ ხელის შრომა, რაც შეიძლება სწრაფად გადავიდეთ ინდუსტრიულ რელსებზე.

„საქფრინველმრეწვის“ მრავალათასიანი კოლექტივი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით და დახმარებით უზრუნველყოფს მეთერთმეტე ხუთწლედში დასახული პროგრამის შესრულებას. ჩვენი სპეციალისტები ვალია სრულყოფილად, დანიშნულებისამებრ გამოვიყენოთ სახელმწიფო ფონდები, ყოველი მანქანა-დანადგარი დიდ უკუგებას უნდა გვაძლევდეს. ერთი თხოვნა გვაქვს საკვების მწარმოებლებთან: ფრინველის ხორცის ხარისხის გაუმჯობესება, უპირველესად საკვების ხარისხზეა დამოკიდებული და, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში მხოლოდ მაღალხარისხოვან კომბინირებულ საკვებს მოგვაწვდის მრეწველობა.

ვ. გვარჯალაძე,
რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების „საქფრინველმრეწვის“ მმართველი.

შეხვედრა მრგვალ მაგიდასთან

სკკპ XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, სასურსათო პრობლემის გადაჭრას.

და ყველა ეს მიმართულებანი განუყოფელად დაკავშირებულია პროდუქციის ხარისხის ამაღლების პრობლემასთან.

უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში ამ საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა. კერძოდ, ვრცელდება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მისი როლის შესახებ საუბარი გაიმართა მრგვალ მაგიდასთან შეხვედრისას „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური კომიტეტის პრესცენტრში. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური კომიტეტისა და მისი რაიონული ქვეგანაყოფების, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სახსტანდარტის რესპუბლიკური სამმართველოს, საწარმოო გაერთიანება „საქსოფლრემონტის“ წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა.

შეხვედრის მონაწილეებმა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის მნიშვნელოვან რგოლად დაასახელეს მექანიზატორთა კადრების მომზადება, მათთვის შესაფერი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა.

(საქინფორმი).

უფრო გარკვევით ითქვას

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში დიდი ღონისძიებანია დასახული საბჭოთა ხალხის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფისათვის. მათი განხორციელების შედეგად კიდევ უფრო გაუჯობესდება საბჭოთა ადამიანების საყოფაცხოვრები პირობები. მთელ რიგ სხვა საკითხებთან ერთად პროექტში გათვალისწინებულია „თანდათანობით მივუახლოვოთ წინათ დანიშნული პენსიების ოდენობა ანალოგიური კვალიფიკაციის მუშაკებისათვის ამჟამად დანიშნული პენსიის დონეს“.

ჩემი აზრით, პროექტში უფრო კონკრეტულად უნდა იყოს ახსნილი, რომელი კატეგორიების მუშაკების ადრე დანიშნული პენსიების ოდენობა უნდა მიუახლოვდეს ამჟამად დანიშნული პენსიის დონეს.

მ. აბრამიშვილი,
სიხზერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

ზუსტი გაანგარიშება

გურამ მგელაძე ისეთი ემოციების კაცია, თოფის წამალივით რომ იფეთქებს ხოლმე. როცა იგი წყლით გაჟღენთილი ზეცისკენ შემართავს ხელებს და სასოწარკვეთილი გაკკივის: „გაგიყდები!“, — უნებურად გკურავ! მართლა გადაირევა, თუ ეს ჭოროფა არ დამთავრდა. მაგრამ, ჩვეულებრივ, ამ მჩქეფარე ნატურის ემოციურ აფეთქებას აქვე მოსდევს ხოლმე საღი ანალიტიკოსობა და დაკვირვებული ფსიქოლოგის მკაფიოდ დასაბუთებული სიტყვა. და რაკომის მდევნი ყოველთვის ერთიდაიგივე წერტილს უმიზნებს: „დღეს მეტი უნდა გავაკეთოთო, ვიდრე გუშინ! დღეს ეს მეგვიძლია...“.

გურამ მგელაძე სკკპ XXVI ყრილობის დელეგატად აირჩიეს — დიდი პატივია.

აბაშის რაიონი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდა 1980 წლისა და მეათე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის.

როცა დავინახე, როგორ პირობებში მუშაობენ აბაშელები, დავინტერესდი: უწინარესად რა ამოძრავებთ ამ ადამიანებს.

— ნუთუ გგონიათ, რომ სტიმულებს მთავარ და მეორეხარისხოვნად ვყოფთ? — მიპასუხა მგელაძემ. — მთავარია ყველაფერი: შეჯიბრების გამარჯვებულის ტიტულიც, ფულიც, ბელეში შეტანილი მარცვლეულიც. და თუ მართლა მთავარს დავუწყებთ ძებნას, მთავარი, ალბათ ის არის, რომ ჩვენი მიწათმოქმედი ერთი წამითაც კი ვერ უიერგდებიან იმ აზრს, რომ მოსავალი მინდორში დატოვონ. და როცა ხალხი ასე ეკიდება თავის მოვალეობას, ვფიქრობ, რაიონში კარგი ატმოსფერო შეგვიქმნია...

მგელაძემ ამ ატმოსფეროს განსაკუთრებული უწოდა. მე დავაზუსტებ: შემოქმედებითი ატმოსფერო. აქ, მაგალითად, მოძველებულად მიიჩნიეთ დამკვიდრებული აზრი, თითქოს წარმოების სპეციალიზაცია აუცილებლად გულისხმობდეს მართვის სპეციალიზაციასაც. პირიქით, დარწმუნებული არიან: წარმოება სპეციალიზებული უნდა იყოს, ხოლო მართვა — კომპლექსური. და სწორედ ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თანხმობით შეიქმნა რაიონული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანება — მანამდე არნახული სამეურნეოანგარიშიანი ორგანო. და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ყველა სამსახურს, თვით დამამზადებელ ორგანიზაციებსა და გადამმუშავებელ საწარმოებსაც, რომლებზეც რამდენადმე არის დამოკიდებული მათი საქმიანების საბოლოო შედეგი, გაერთიანების საბჭო მართავს. „იზვესტიამ“ (1978 წ. № 121) უკვე გაგაცნოთ ეს ექსპერიმენტი. მოყვანილი იყო მონაცემები: სიმინდის მოსავლიანობა ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა, ბოსტნეულისა — სამჯერ; ხორცის წარმოებამაც იმატა ერთ-ნახევარჯერ, რძისამ — მესამედით. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთლიანი პროდუქცია კი თითქმის ორჯერ გაიზარდა...

სამწუხაროდ, ზოგიერთ მეურნეობაში ამგვარ სურათს წაწყდებით: ცენტრალურ კარ-მიდამოში სახელოსნოების გარშემო, ზოგჯერ უფრო მოშორებითაც რომ ოვალი არავინ მოჰკრას, ყველასაგან მივიწყებული ტექნიკა ყრია. ტექნიკა, რომელაც თავისი გამოსადეგობის ვადის ნახევარიც კი არ უმუშავია, ზოგჯერ კი სრულიადაც არ გამოუყენებიათ და სათადარიგო ნაწილებად დაუშლიათ. მიკითხავს თავმჯდომარეებისათვის: „ნუთუ შეუძლებელია წესრიგის დამყარება?“. მხრებს იჩეჩავდნენ: „მაგ ჩვევამ ისე მოიკიდა ფეხი, მალე ვერ აღმოიფხვრება...“.

აბაშაში შეძლეს. თანაც არა ცალკეულ მოწინავე მეურნეობებში, არამედ გამოუკლებლივ ყველგან. მერე და, რა სასწაულებრივი ხერხით შეძლეს ამ სანიმუშო წესრიგის დამყარება? რა თქმა უნდა, არავითარი სასწაული არ ყოფილა. სამაგიეროდ ამიერიდან არსებობს მუშაობის პრაქტიკა „საქსოფლტექნიკის“ აბაშის განყოფილებისა, რომელსაც აბესალომ ასათიანი ხელმძღვანელობს. იტყვით, რაზე უნდა ფიქრობდეს სამსახურში?

ერთ საფუძვლიანად იცის „საქსოფლტექნიკის“ და სოფლის მეურნეობის პროდუქციის უშუალო მწარმოებელთა პარტნიორობის თავისებურებანი, დაუფიქრებლად გიპასუხებს: ასათიანი იმისათვის ზრუნავს, თუ როგორ შეასრულოს თავისი გეგმა რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით, რათა მონათესავე საწარმოთა შეჯიბრების სათავეში მოექცესო...

მაგრამ ყოველივე ეს უკვე წარსულს ჩაბარდა. ჯერ კიდევ გაზაფხულზე ბალანსიდან ბალანსზე მიიღეს საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორები, კოლმეურნეობებისა — იჯარით წაიყვანეს, და ახლა მანქანების მთელი არმადა, რომელიც მოსავლის აღებაზე მუშაობს, სწორედ იმ საწარმოს ეკუთვნის, რომელსაც ასათიანი ხელმძღვანელობს.

ეს ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტია. ეს ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტია. ეს ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტია. ეს ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტია. ეს ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტია. ეს ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტია. ეს ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტია. ეს ერთ-ერთი ასეთ

დეპუტატის ბრიგადაში

საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ მეთაური საწარმო — თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა პირველი ხუთწლედების პირმშოა. აქ გამოიწრთო და დავაჟკაცდა ახობით მუშა და სპეციალისტი, რომლებიც შემდგომში პრაქტიკულად, ჩვენი რესპუბლიკის ყველა ფაბრიკა-ქარხანას, წარმოების რგოლებს ხელმძღვანელობდნენ. აქ დამზადებულმა ხრახნსაბრელმა და მილეტების დასამუშავებელმა სპეციალურმა ჩარხებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ქვეყნის ლითონდამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაში.

სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია ქარხნის საამწყობო საამქროს კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ორაგველიძე ხელმძღვანელობს. ეს კოლექტივი ორი თვის დავალებას 28 თებერვლისათვის შეასრულებს და გეგმის გადამეტებით ორ ჩარხს დაამზადებს.

სურათზე: ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) ო. თოხაძე, ა. ფუნა. შვილი, რ. ორაგველიძე, ე. ბერიძე და გ. ჭიჭინაძე საამუშაო ცვლაში გასვლის წინ.

გ. ნახუცრიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ალმაცერი

საქართველოს სსრ აბაშის რაიონის

მექანიზებული რაზმის ამბავი

დიახ, დიახ, რაიონული მასშტაბით აგროსამრეწველო კომბინატის მართვის ოპტიმალური ვარიანტის შემოქმედებითმა ძიებამ ბუნებრივი გზით, ძალდაუტანებლად და, ასეთ შემთხვევაში სახიფათო, მოვლენათა დაჩქარების გარეშე, აბაშელები ლოგიკურ დასკვნამდე მიიყვანა: ტექნიკას სრულუფლებიანი, მაგარი პატრონი უნდა ჰყავდეს, რომელსაც ენქება რიგიანი სარემონტო ბაზა, განშტოებული და სტაბილური სამომმარაგებლო კავშირურთიერთობანი.

ეგრიგად, აბაშის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არა ჰყავთ საკუთარი ტრაქტორები და კომბაინები, სათიბელები და სათესი მანქანები, რომლებზეც უარი თქვეს „საქსოფლტექნიკის“ განყოფილების სასარგებლოდ. თუმცა, პირიქით, — თავისსავე სასარგებლოდ, რადგან განთავისუფლდნენ უამრავი მძიმე სახლუნავისაგან, რომელთა გარეშე ცხოვრება, თუ რმე, შესაძლებელი ყოფილა.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების უფროსთან ვალერი ხუციშვილთან ერთად მე პრაქტიკულად მთელი რაიონი მოვიარე. პირდაპირ გასაკვირია: ვერც ერთ სოფელში ვერ ნახავთ ბიგრეხილ-მოგრეხილ ლითონს; სათადარიგო ნაწილებად დაშლილ მანქანებზე ლაპარაკი ხომ საერთოდ ზედმეტია.

ახლა ვნახოთ, როგორი ნაყოფი გამოიღო ამ სიახლემ?

კაპიტალურად გასარემონტებელი ტრაქტორების რიცხვი, სარემონტოშორისო ექსპლატაციის პერიოდის გაზრდის გზით, სამჯერ შეამცირეს; თითოეული ასეთი რემონტის ღირებულება ორჯერ შემცირდა, ხოლო მიმდინარე რემონტი, სწორი და დროული ტექნიკური მომსახურების გზით, სურთ საერთოდ მოსპონ. ჰოდა, ამას ცუდი არაფერი მოჰყოლია. განყოფილება, მისი ცენტრალური და საუბნო სახელოსნოები იმდენს მუშაობდნენ, რამდენიც საჭირო იყო, და, რაც მთავარია — მხოლოდ მოსავლისათვის.

სოფელი კეთილარი აბაშის რაიონული „სოფლტექნიკის“ ყველაზე შორეული უბანია. აქაურმა უფროსმა — ინჟინერმა კოტე პერტენავამ, მაჯა გამომიწოდა ხელის ნაცვლად, რომელიც მაზუთით ჰქონდა მოთხვრილი. ჩვეულებრივ, ასე იქცევიან შოფერები და ტრაქტორისტები, როცა ვინმე უდროო დროს დაადგება თავს დაშლილ ძრავაზე მუშაობისას. გავიფიქრე, ეტყობა რაღაც ძალზე სერიოზული და საჩქარო საქმეა, რაკი თვითონ უფროსს წუაუყვია-მეთქი ცხვირი მოტორში. ჩემი ვარაუდი ხმამაღლა წარმოვთქვი.

— ჩვენთან უკვე დიდი ხანია მანქანის ყოველგვარი გაფუჭება სერიოზულად ითვლება და ყოველგვარი სამუშაო კი სასწრაფოდ, — მიპასუხა პერტენავამ. — უკვე ხუთი წელია თანამდებობებს და რანგებს არ დაგიდევთ, ოღონდ ტრაქტორი ნაკლებად მოკდეს...

განყოფილების მმართველს აბესალომ ასათიანს და კეთილარის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვახტანგ ქობულიას ვკითხე: შესაძლებლად მიაჩნიათ თუ არა, თუნდაც გუნებაში, ძველ პრაქტიკას დაუბრუნდნენ? მაშინ, წინათ, მეურნეობებს ხომ ესოდენ მძიმეტვირთავი დამოუკიდებლობა ჰქონდათ: იყიდე მანქანა და რაც გინდა უყავი, თვითონვე ხარ საკუთარი თავის უფროსი! „სოფლტექნიკა“ კი შეაკეთებდა ტრაქტორსა თუ რომელიმე სხვა მანქანას და მორჩა!

ახლა როგორღაა?

ახლა სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობაა, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სახელშეკრულებო მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის. იმას ვინ ჩივის, რომ თვითონ უნდა გამართო ტექნიკა, თან მთელი რაიონის ყანაც უნდა გადაბნა, ნათესებს მოუარო, სასუქი შეიტანო, მოსავალი აიღო. და ყველაფერი ეს საუცხოოდ უნდა გაკეთდეს, თორემ პარტნიორები მატერიალურად გაზარალებენ. რაც ეკუთვნის, მთლიანად, უკანასკნელ კაპიკამდე, მექანიზატორი მხოლოდ მაშინ მიიღებს, როცა სიმინდს ბეღელში დააბინავებს: მოსავალზეა დამოკიდებული ხელფასი. და გამოდის, რაც გინდა ქნა, ორივე მხარე ეწევა რისკს. ასეა?

— არა, არა! — ვახტანგ ქობულიამ ხელები გაასავსავა. — არავითარი უკან დაბრუნება!

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა აბესალომ ასათიანმა კი გაჯავრებულმა ჩაიბურტყუნა:

— თუ ძველს დაუბრუნდებით, მუშაობა საინტერესო აღარ იქნება.

ასათიანი ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ასწავლიდა. გ. მგელაძემ აბესალომი აბაშაში „გადაიბირა“, თუმცა დიდს არაფერს დაჰპირდა: ერთადერთი, რასაც დაჰპირდა: სრულ დამოუკიდებლობას ახალ ადგილას მუშაობაში — მიდი, სცადეო...

მათ რაიონში საერთოდ დამოუკიდებლობა დიდად ფასობს. იქნებ სწორედ ამიტომ მოიყარეს აქ თავი ძლიერმა, განსწავლულმა ხელმძღვანელებმა. ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, სამეურნეოთაშორისო მეცხოველეობის საწარმოს დირექტორმა ოთარ ცომაიამ ახლანდელი სამუშაოს გულისთქმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორია მიატოვა. 1.200-სულიანის სანეზვე კომპლექსის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი იაკობ ვასაძე ხარკოვის ოლქიდან ჩამოვიდა— სამმართველო ექსპერიმენტის პერსპექტივამ გაიტაცა. და განა საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ რაიონული საწარმოო გაერთიანების უფროსი ვალერი ხუციშვილი წინათ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში მუშაობდა?

აბაშაში არსებითად რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსი ჩამოყალიბდა. იგი უზრუნველყოფს „დარგთაშორისი ეკონომიკური კავშირურთიერთობის სრულყოფას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდისათვის მათი ზუსტი ურთიერთმოქმედების ორგანიზაციას, ამ პროდუქციის შენახვის, ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და მომხმარებლისათვის მიწოდების გაუმჯობესებასა“, რადგან ამაზეა სწორედ ლაპარაკი ძირითად მიმართულებათა პროექტში.

მაგრამ დავუბრუნდეთ „სოფლტექნიკას“. აბესალომ ასათიანი ერთდროულად საწარმოო გაერთიანების უფროსის მოადგილეც არის. ხელფასს, აგრეთვე ყოველგვარ მატერიალურ წახალისებას, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ რაიონის მეურნეობანი შეასრულებენ სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის გეგმას, აქვე იღებს გაერთიანებაში. ესე იგი, მისი პირადი ინტერესები უშუალოდ არის დაკავშირებული საერთო-რაიონული მეცადინეობის საბოლოო შედეგებთან.

თანაც ასათიანი გაერთიანების საბჭოს წევრია: დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომლებზეც დამოკიდებულია მეურნეობათა ბედი, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებთან და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებთან, საბჭოთა მეურნეობათაშორისო საწარმოების ხელმძღვანელებთან ერთად წყვეტს. თუ ორიოდე წლის წინათ ზოგიერთი ცბერ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შეეძლო თავისი ცოდვები, თავისი ხარვეზები „სოფლტექნიკისთვის“ გადაებრალებინა, ხოლო განყოფილების მმართველს ხშირად ექმნებოდა ხელსაყრელი საშუალება „თავი დაეცვა“ პარტნიორის შემოტევისაგან, დღეს ასეთმა თამაშმა ყოველგვარი აზრი დაკარგა: ყველანი ერთ ჭაპანს ეწევიან.

უნდა ითქვას, „სოფლტექნიკის“ მოთავეობით მანქანების პარკის კონცენტრაციამ ბევრი პრობლემა გადაჭრა, რომელთა გადაწყვეტას ჯერ კიდევ გუშინ ამდენ ძალ-ღონეს ახმარნენ. განა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც რაიონს ყველა კუთხიდან მოდიოდა საჩივრები, ტრაქტორები არ გვყოფნისო, ყველაფერს ზედმეტად ყიდულობენ, ოღონდ სახელწოდება ყოფილიყო შესაბამისი, მაგრამ, დახეთ, რა მოხდა, როცა მთელი რაიონის მანქანები ერთ მუშტად შეიკრა. ასათიანს ტრაქტორების პარკის სტრუქტურის სრულყოფის შემდეგ ზედმეტი აღმოჩნდა... ოცდათოხმეტი დტ-75 ტრაქტორი. უნდა გაეყიდინა, მეტისმეტად ძვირფასი ბალასტია.

საწარმოო გაერთიანების საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ეს საკითხიც დადგა. ... ...

2. სწორი გეზი გამარჯვების საწინდარია

გიორგი ციციშვილი,

საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

წარსულის შეცდომებსა და ნაკლოვან მხარეებზე ვრცლად მიმტომ შევჩერდი, რომ შეცდომების დანახვა ყველაზე საიმედო თამასუქია მომავალში მათგან თავის დაზღვევისა. ჩვენ კი ყოველ ერად ეს გვჭირდება, რადგან ორგანტური მიზანდასახულობანი ერულ კომპეტენტურობას და მეუცდომლობას მოითხოვს. ყრილობის დელეგატთა მიერ არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ საანგარიშო მოხსენებაში „არა მარტო მოცემულია ჩვენი წარმატებების ღრმა ანალიზი, რამდენ გამოვლენილია რესპუბლიკის მეურნეობისადმი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისადმი ხელმძღვანელობაში დაშვებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების ფესვები. ეს ნაკლოვანებები ბევრ რამეზე მეტყველებს და უწინარეს ყოვლისა დაკარგულ შესაძლებლობებს. გამოუყენებელ რეზერვებს წარმოების ყველა დარგში“ და რომ ამ ხარვეზთა და ნაკლოვანებათა შეგასეა-გამოსწორება ჩვენი უპირველესი საზრუნავია.

კიდევ ერთ პრობლემას მინდა შევეხო: საქართველო ჰიდროელექტროსადგურების ქვეყანად გადაიქცა. ამან ბრავალმხრივ შეგვიწყო ხელი და დიდად წაგვწია წინ.

ამის შთამბეჭდავ მაგალითად ბრთლაც რომ საოცარი და მართლაც რომ უნიკალური ენგურგესიც გამოდგება. იგი ჩვენი რესპუბლიკის სიამაყედ გადაიქცა და თანამედროვე საქართველოს ბალი სამრეწველო-სამშენებლო პოტენციალის სიმბოლო გახდა. ყრილობაზე სწორად იქნა შენიშნული, რომ მსოფლიოში უნიკალური ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ხუთივე აგრეგატის შენებლობის დამთავრება წარმოადგენს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევას სამოცდაათიან წლებში.

ენგურჰესმა არა მარტო დენი მოგვცა, არა მარტო გაზარდა რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზა, არამედ გვაგრძნობინა მეტი რწმენა ჩვენი ძალებისა, აღზარდა მრავალზე-მრავალი ქართველი ვაჟკაცი — მშენებელი, ინჟინერი, წარმოების ორგანიზატორი. ეს ენგურგესი მშენებლობა გადაიქცა ინტერნაციონალისტური და კოლექტივისტური შრომის ჭეშმარიტ სკოლად, . საბჭოთა ადამიანების საპასუხისმგებლო სულიერ გამოცდად, რომელიც მათ ესოდენ დიდი წარმატებით ჩააბარეს. სწორედ ამაშია ჩვენი დროის ამ ერთ-ერთი უდიდესი და ურთულესი მშენებლობის სულიერი, პოლიტიკური არსობა, მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა, გარდა მეცნიერულ-სამეურნეო-ენერგეტიკული ღირებულებისა.

მეათე ხუთწლედში გაზრდილი ყურადღება ექცეოდა რესპუბლიკის ენერგეტიკული სიმძლავრის გაზრდის საქმეს და ეს საკვანძო გასაგებიცაა, რამდენადაც ენერგეტიკული პრობლემა დღეისათვის ერთი უმთავრესი და უძირითადესი პრობლემაა ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხისათვის. ჩვენი რესპუბლიკის ენერგოპოტენციალი მნიშვნელოვნად ეფუძნება: ენგურჰესსა, ვარციხის ტბაზედ სამი ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედებამ და ტყვარჩელის ელექტროსადგურის გაფართოებამ საქართველოს ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე 1,6-ჯერ გაზარდა. ამას ულ მალე დაემატება ხუდონისა და ენგალის ჰიდროელექტროსადგურები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ბუნებრივი პირობები საშუალებას გვაძლევენ ყველაზე ვაწარმოოთ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. მაგრამ არა ისეთი მასშტაბის ელსადგურებისა, რომელიც უზარმაზარი წყალსაცავების შექმნას მოითხოვს (რის გამოც იძულებული ვიქნებით ვეებერთელა ფართობები წყლით დავტბოროთ), არამედ მხოლოდ ისეთი ჰიდროსადგურებისა, რომელთა მუშაობისათვის საკმარისი იქნება სოფლის მეურნეობისათვის უვარგისი, ღრმა ხანიონებისა და უნაყოფო ხეობების ყოველმხრივად დასაშვები დატბორვა. ამისკენ გვიბიძგებს ის გარემოებაც, რომ საქართველოში ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის 40 პროცენტი უპირატესად მცირე მდინარეებზე მოდის. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია, რათა რესპუბლიკის ჰიდროელექტროსადგურების გამოყენების ყველა ახალი გეგმა თუ პროექტი, ისევე როგორც საერთო პერსპექტიული გეგმა, როგორც წესი, გახდეს ხოლო ობიექტი ფართო საჯარო მსჯელობისა და საზოგადოებრივი განხილვისა. ხანდახან ასეთი პროექტები არა თუ ფართო საზოგადოებრივობასთან, არამედ დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და მომავალ სპეციალისტებთან დაუთათბირებლადაც კი დგება.

ჰიდროელსადგურთა უმრავლესობას ჩვენს პირობებში დიდი წყალსაცავები სჭირდება, რის გამოც ფრიად მნიშვნელოვანი ფართობები წყლით დავტბორეთ. ასე, მაგალითად, თუ ამჟამად არსებულ ჰიდროელსადგურების წყალსაცავებს (ენგურჰესს, ლაჯანურჰესს, ბუმათჰესს, ხრამჰესს, შაორჰესს და სხვ.) დავუმატებთ მშენებარეთ (ხუდონიჰესი, ყინდოჰესი) და იმათ, რასაც ამჟამად პროექტებენ (ტობარიჰესი I და II, მიზიჰესი, ნამახვანჰესი I და II), წყლით დატბორილი ტერიტორია 140 კვადრატულ კილომეტრს მიაღწევს, ხოლო თუ იმ მიწებსაც ვიანგარიშებთ, რაც დატბორვის ზონაში უსარგებლო ხდება, დაკარგული მიწის ფართი 150 კვადრატულ კილომეტრსაც გადააჭარბებს. რა დასამლია, წყლის ასეთი რაოდენობით დატბორვამ კი სიძნელეებიც რთული შეგვიქმნა და საზრუნავიც დიდი გაგვიჩინა, მაგრამ თუ აქამდე ყოველივე ეს (შეტნაკლებად) აუცილებელი იყო, ბარგა ხანია დადგა დრო შეობლიური მიწის, ჩვენი გმირი წიაპარების სისხლით მორწყული ბიწის უფრო მეტად გაფრთხილებისა, ეკოლოგიური წონასწორობის დაცვისა და ამ მიზნით ელექტროენერგიის ახალი, უფრო პროგრესული წყაროების გამოძებნა-გამოყენებისა, რაზედაც ბარგად ითქვა საანგარიშო მოხსენებაში.

ამჰ. ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა რა მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის ენერგეტიკული პოტენციალის გაძლიერება (ძირითადად ენგურჰესის ხარჯზე), რის შედეგადაც ელექტროენერგიის წარმოება 1,2 ჯერ გაიზარდა და 1980 წელს 14 მილიარდ კილოვატსაათზე მეტი შეადგინა,) ხაზგასმით დასძინა: „ამასთან ერთად, რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარების ტემპი ჯერ კიდევ ჩამორჩება სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპს, ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებებს, ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების მხრივ რესპუბლიკა შესაბამისად მეცხრე და მეათე ადგილზეა ჩვენს ქვეყანაში“.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ რესპუბლიკა განიცდის საბაზისო სიმძლავრის დეფიციტს და სავსებით მართებულად დაასკვნა: „საქართველოს ენერგოსისტემაში **საბაზისო ელექტროენერგიის დეფიციტის ლიკვიდაციის პრობლემის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომ რესპუბლიკაში აშენდეს მძლავრი საბაზისო ელექტროსადგური** (ხაზი ჩემია გ. ც.), რომელიც მდიდარი **ჰიდროენერგეტიკული რესურსების შემდგომ ეფექტიან გამოყენებასთან ერთად,** საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ენერგოსიმძლავრეთა ოპტიმალური სტრუქტურა“.

ეს უაღრესად საგულისხმო, უაღრესად საყურადღებო დასკვნაა და იგი სახელმძღვანელო პროგრამად უნდა ვიქციოთ. თქმულიდან ნათელია, რომ რესპუბლიკის ენერგოშიმშილის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მძლავრი საბაზისო ელექტროსადგურის აშენება. მძაფრი ენერგოშიმშილი კი (უკვე მიღებული ზომების მიუხედავად) სულ მალე გვიწვევდა (წინასწარი ვარაუდით 80-იანი წლების მეორე ნახევარში). უფრო მეტიც, ენერგოშიმშილი უკვე იგრძობა, და ეს ყოველობაზეც აღინიშნა. მაგალითად, საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა მედეა მეზვრიშვილმა განაცხადა: „მეათე ხუთწლედში დაბალ დონეზე იდგა ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საქმე. მეცხოველეობის კომპლექსები მთელი კვირების განმავლობაში უსინათლოდ იყო. ბეგრჯერ მოგვიხდა სანთლების შუქზე საახალწლო ზეიმის, მწერლებთან შეხვედრის, აქტიის კრების გამართვა“.

ამრიგად, რომ მძლავრი საბაზისო ელექტროსადგური აგება ყოველად აუცილებელია, ეს სავსებით ცხადია; რაც არ უნდა ბევრი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური გქონდეს, ენგურჰესის თუ ხრამჰესისნაირი, ეს მაინც ვერ გადაწყვეტს პრობლემას, რადგან ასეთი ჰიდროელექტროსადგურები ბაზისური კი არა, მარეგულირებელი ტიპისაა და, უპირატესად, მაღალი პიკური დატვირთვის დროს გვშველიან. რაც შეეხება ბაზისურ ელექტროსადგურს, ე. ი. ისეთს, რომელიც მთელი დროის მანძილზე (წლის სხვა და სხვა პერიოდშიც და საღამოობისოდაც) თანაბარი სიმძლავრით იმუშავებს— ასეთი სადგური შეიძლება იყოს მხოლოდ საწვავ მასალაზე მომქმედი (ნავთი, გაზი, ქვანახშირი, ტორფი), ანდა ატომური. არსებობს სხვა ელექტროენერგო საშუალებებიც (ქარი, მზის სითბო, თერმული წყლები), მაგრამ ისინი არსებით როლს ვერ ითამაშებენ.

საწვავ მასალაზე მომუშავე ელსადგურებს საწვავის კოლოსალური მარაგი სჭირდებათ და ისინი რესპუბლიკას საწვავი მასალის მძაფრ დეფიციტს მისცემენ; გარდა ამისა ასეთი ელსადგურები ყველაზე მეტად აბინძურებენ გარემოს. ამრიგად, მძლავრი ბაზისური ელსადგურისათვის დარჩა ერთი დღეს-დღეობით ყველაზე ეფექტური გზა — ატომური ელსადგური, რომელიც ფრიად ძვირი ჯდება, მაგრამ კოლოსალურ ეფექტსაც იძლევა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის ელსადგურის წარმატებული მუშაობისათვის და ყოველგვარი ზიანისაგან თავის დასაზღვევად აუცილებელია მისადმი უაღრესად პასუხისმგებლური, წინდახედული, შორსმჭვრეტელური მიდგომა; აკურატული, გაუმარტივებელი შესრულება და ყველა აუცილებელი პირობის დაცვა, უსაფრთხოებისა და გაუვნებელყოფის თვალსაზრისით. საჭიროა ამ საკითხისადმი, ეპოქისეული და გარდუვალი პრობლემის დროული გადაწყვეტა კომპეტენტური, მეცნიერული აზრის შემოშავება და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებაც.

ჩვენში, რატომღაც გავრცელდა უარყოფითი თვალსაზრისი ატომური ელსადგურების შესახებ, რაც 20-30-წლის წინანდელი ვითარების გამომხატველია. დღეს კი, მთელი მსოფლიო, მათ შორის ტერიტორიით საქართველოზე პატარა ქვეყნები (ბელგია, ჰოლანდია, დანია) მხოლოდ და მხოლოდ ასეთ ელსადგურებს აშენებენ. წარმოიდგინეთ, ახლა ეს იმდენად „არასაშიშ“ საქმედ მიიჩნიათ, რომ ატომურ ელექტროსადგურს დედაქალაქებშიც კი აგებენ. დიდი ხანია წარმატებით მუშაობს ატომური ელექტროსადგური სომხეთში და სიკეთის მეტი არაფერი მოუტანია. ამ დღეებში დამთავრდება ევროპაში ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგურის შენებლობა ლენინგრადთან (მისმა სამმა ბლოკმა უკვე გამოიმუშავა 67 მილიონ კილოვატსაათზე მეტი). ახალი ტიპის ეს მძლავრი სადგური თანამედროვე ტექნიკის გამოჯვეებაა. ამჟამად საბჭოთა კავშირში ათზე მეტი ატომური ელექტროსადგური მოქმედებს და ფოსფორებულად შენდება კიდევ მრავალი ატომური ელსადგური. დღეისათვის ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში 150-მდე ატომური ელექტროსადგური მუშაობს. თითქმის ყველა მათგანი დიდ ქალაქებსა და მჭიდროდ დასახლებულ ადგილებშია აგებული. ამას გარდა, უკვე შენდება 180-ტომა მიერ დასმული საკითხი ატომური ელსადგურის აშენების შესახებ. შეიძლება ვიმსჯელოთ ასეთი სადგურის ადგილმდებარეობის შესახებ, მაგრამ საკითხის პრინციპული გადაწყვეტა არ უნდა დავაგვიანოთ. ასეთი, ახალი, გაუმჯობესებული ტიპის თანამედროვე ელსადგურის აშენება უდიდეს სოციალურ ეფექტსაც მოგვცემდა.

● ●

ზოგიერთს შეიძლება გაუკვირდეს, რომ ასე ფართოდ შევეხე სამეურნეო-ტექნიკურ პრობლემებს, მაგრამ ყოველივე ეს ხომ ლიტერატურის მთავარ საგანსაც წარმოადგენს! **სწორედ ამგვარი საკითხები** უნდა იქცეს მასალად მწერლობისათვის, რომლის საბრძოლო ამოცანა ეპოქის მხატვრული მატიანის შექმნაა. ეპოქა კი ვერ დაიხატება უმთავრესი საზოგადოებრივი პრობლემატიკის (როგორც სოციალ-ეკონომიური, ისე სამეცნიერო-ტექნიკური) გარეშე. ამიტომ უახლოეს მომავალში მწერალთა და ხელოვანთა მთავარი საზრუნავი **უნდა გახდეს ქვეყნის განვითარების ძირითადი მიმართულებებით აღძრული პრობლემების მხატვრული ათვისება,** მათი ხორცშესხმისათვის იდეურ-ლიტერატურული ხელშეწყობა. უნდა ღრმად ჩავიხედოთ საბჭოთა ადამიანის სულშიც და სოციალურ, მეცნიერულ, ტექნიკურ პროცესებსა და პრობლემებშიც. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ გავხადოთ ქართული ლიტერატურა თანამედროვე, რეალისტური, პრობლემური, ღრმააზროვანი, ცხოვრებასთან შერწყმული.

არაერთხელ აღინიშნა, ხოლო ყრილობაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საანგარიშო პერიოდში ქართული ლიტერატურა და ხელოვნება იმ ზეაღმავალი ხაზით ვითარდებოდა, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის ზნეობრივი გადახალისების პროცესსა და საერთო-სახალხო მიზანსწრაფვამ მძლავრი, შეუქცევადი დინების სახე მისცა. საქართველოს მწარმოებლურსა და სულიერ ცხოვრებაში დამკვიდრებულმა მებრძოლმა პათოსმა ჩვენი ყოფისა და საქმიანობის ყველა კუთხე-კუნჭული მოიცვა.

ლიტერატურა და ხელოვნება საზოგადოების განწყობილების შეუმცდარი ბარომეტრია. ხალხის ზნეობრივი კრიზისი თუ სულიერი აღმავლობა, დაბნეულობა თუ ხერხემლიანობა, დაძაბუნება თუ ენერგიულობა, თვითკმაყოფილება თუ კრიტიკული განსჯის უნარი — ყველაფერი ეს ლიტერატურისა და ხელოვნების მეშვეობით ვლინდება და საზოგადოებრივი ყოფის, ხალხის ზნეობრივ-ინტელექტუალური დონის გამოხატულებად იქცევა.

საანგარიშო პერიოდის ლიტერატურისა და ხელოვნების განხილვა-შეფასების დროს პირველ რიგში, და ისიც უაღრესი კმაყოფილებით, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ მეათე ხუთწლედში დგებოდა IX ხუთწლედში დაწყებული უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესი ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის მზარდი ინტელექტუალურ-მხატვრული აღმავლობა მოჰყვა.

ჩვენი უახლესი წარსულის განსენება ყველასათვის ნათელსა ხდის, რომ ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ, ცალკეულ ნამდვილად თვალსაჩინო წარმატებათა მიუხედავად, ორმოცდაათიან-სამოციან წლებში, შედარებით 20-იან, 30-იან და 40-იან წლებთან, — ფრიად საგრძნობლად დასთმო თავისი პოზიციები საკავშირო სარბიელზე (ამ გარემოებამ თავისი გამოხატულება იმაშიც ჰპოვა, რომ თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ქართველ მწერალთაგან არც ერთს არ მიუღია საკავშირო სახელმწიფო პრემია). ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ხეთდრითი წონის შემცირება საქვეყნო მასშტაბით გაპირობებული იყო არა მარტო ჩვენი სადავემშვებელი, მოდულებელი, ინერტული საზოგადოებრივი ყოფით, არამედ მომძე ხალხთა აქამდე არნახული შემოქმედებითი აქტივობითაც. ყოველივე ამის გამო ქართველ ოსტატთა წვლილმა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საგანძურში ბევრად იკლო. ამას არ შეეძლო არ ჩაეფიქრებინა, არ შეეწუხებინა ჩვენი ეროვნული კულტურის მრავალზე-მრავალი თაყვანისმცემელი.

მაგრამ 70-იანმა წლებმა მდგომარეობა მკვეთრად შეცვალა: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაზრდილმა, ნამდვილად საგანგებო ყურადღებამ ქართული ეროვნული კულტურისადმი, რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარმა ძირეულმა ძვრებმა ჯეროვანი ნაყოფი გამოიღო და, დღეისათვის, ქართველი ხელოვანნი — სიტყვისა, სარეპერტუარისა, ფერისა, ჰანგისა, სკულპტურისა, კინოს, ტელევიზიისა — არათუ იბრუნებენ დაკარგულ პოზიციებს საკავშირო ასპარეზზე, არამედ თანამიმდევრულად მიიწევენ წინ და მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის წამყვან რაზმად გვევლინებიან.

განა თანამედროვე ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმატებების მაჩვენებელი არ არის ორი გამოჩენილი ქართველი მწერლისათვის—გრიგოლ აბაშიძისა და ირაკლი აბაშიძისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება. სამშობლოს ერთგული „რა მოხდა აბაშაში“ და „მთას დაეჯრდნდა მთიელი“, რომელთაც ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებთან ერთად მიენიჭათ ახლად დაარსებული პრემია „ხუთწლედის მატიანე“, ამ საპატიო პრემიის დაარსება კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რაოდენ მნიშვნელოვნად მიაჩნდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მხატვრული პუბლიცისტიკის ოპერატიულობა, ქმედითობა, მასების ზემოქმედების უნარი. როგორც საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა: „ამ პრემიის დაწესება და მიკუთვნება მოწმობს, რომ კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა ლიტერატურისა და ხელოვნების კავშირი ხალხის ცხოვრებასთან“.

თუ რაოდენ ფართო და მაშტაბური მუშაობა ჩატარდა ამ სფეროში, ამაზე გასულ ხუთწლედში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ თხზულებათა ავტორთა უბრალო ჩამოთვლაც კი მეტყველებს; არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მწერალი, რომ პუბლიცისტური ჟანრისათვის არ მიემართა.

მაგრამ მხატვრული პუბლიცისტიკის განვითარებასთან დაკავშირებით ორი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ. ამ ჟანრის შეუფასებლობას ვერავის ვერ ვუსაყვედურებთ. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თანამედროვეობის მხატვრული მატიანის შექმნა მხოლოდ ერთი ჟანრის დახმარებით (რაც არ უნდა „მძლავრი“ და ყოვლისშემძლე იყოს ეს ჟანრი) მაინც ვერ მოხერხდება. ჩვენი თანამედროვეების გმირული სახეები, ჩვენი დროის მხატვრული ისტორია (რის შექმნაც საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების უმთავრესი ამოცანა გახლავთ) მხოლოდ მაშინ დაიწერება ღირსეულად, როცა ამ ეპოქალურ საქმეს ყველა მხატვრულ-ლიტერატურული ჟანრი შეეჭიდება, როცა შეეძლებთ ამ საქმეში მხატვრული ამსახველობის თვალსაზრისით ისეთი „ღონიერი“ ჟანრული სახეობების მაღალოსტატური გამოყენებას, როგორიცაა ეპიკური ჟანრები (მოთხრობა, ნოველა, რომანი, ბალადა, პოემა) და ისეთი კონცენტრირებული, „მოიერიშე“ მხატვრული ფორმები, როგორიცაა ლირიკა და დრამატურგიული ჟანრები. ამ მხრივ კი ქართულ საბჭოთა მწერლობას ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი. თანამედროვეობის საოცრად გაზრდილი ლიტერატურული მოთხოვნები ისე უნდა დავაკმაყოფილოთ, როგორც ჭეშმარიტად მაღალგანვითარებულ უმდიდრესი ტრადიციებისა და მძლავრი შემოქმედებითი პოტენციის ქართულ მწერლობას შეეფერება. მეორე: სოციალისტური აღმშენებლობის, ჩვენი თანამედროვეების გმირული შრომისადმი მიძღვნილ პუბლიცისტურ მასალათა მნიშვნელოვანი ნაწილი პორტრეტები და სურათებია, ე. ი. ჟანრობს აღწერითი ჟანრი, — რაც შეეხება პრობლემურ პუბლიცისტურ წერილებს აქტუალურ საკვანძო საკითხთა დაყენებით, მნიშვნელოვან პრობლემათა გამომზეურებით ეს ჯერ კიდევ ცოტაა და ეს მაშინ, როცა პუბლიცისტიკამ უნდა წამოწიოს ძირეული საკითხები, ცხოვრების დიდი პლასტები.

საანგარიშო პერიოდში ქართული პროზა არაერთი ისეთი ნაწარმოებით გამდიდრდა, რომლის მნიშვნელობა სცილდება მხოლოდ ერთი პერიოდის წარმატებებს და ქართული ლიტერატურისა და ეროვნული ლიტერატურული მოვლენა დაგვიანებით მოხვედრილა კრიტიკის თვალსაწიერში. სწორედ ასეთი ბედი ეწია „ყორნალსაც“, ეროვნულ-საზოგადოებრივი ყოფის ამსახველ ამ უაღრესად საინტერესო, ღრმა, პრობლემურ რომანს, რომელიც ქართული ინტელიგენციის გუშინდელი დღის (30-იანი წლებიდან, ვიდრე 50-60 წლებამდე) ავ-კარგში გვახელებს. ეს წიგნი წარსულის საჭირბოროტო საკითხებისადმი მიძღვნილ იმ პირველ წიგნთაგანია, რომელთა თამამი კრიტიკაზმი, ამ ათიოდე წლის წინ, ლიტერატურის ახალი ეტაპის დასაწყისად და ქართული მხატვრული პროზის ალაფლობის საწინდრად მოგვევლინა. ისტორიის თანამედროვეობისათვის გამოყენების ღრმაზროვან მაგალითად მოგვევლინა გრ. აბაშიძის მეორე რომანი „ცოტნე“, რომელიც საგულისხმოდ უკავშირდება ამ ფენომენს. ეს ჯერ კიდევ ადრეული ლირიკის „ალბომ“ ... ...

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

საკრებულისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

17 თებერვალი

სტაბილიზაციის გზით

იხილავენ ახალი კონსტიტუციის პროექტს

პნომპენი. აქ გაიმართა კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო-რევოლუციური საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განიხილეს კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი.

სხდომაზე გამოსულებმა აღნიშნეს, რომ კამპუჩიის ახალი კონსტიტუციის მიღება იქნება დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი რევოლუციური ხელისუფლების შემდგომ განმტკიცებაში, ცხოვრების სტაბილიზაციაში. ისევე როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მომავალი არჩევნები, ახალი კონსტიტუციაც ხელს შეუწყობს იმას, რომ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქენი უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის ცხოვრებაში.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ჰენგ სამრინი.

ამგვადებენ ინტერვენციას

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატები ფართოდ ემზადება სალვადორში სამხედრო ინტერვენციისათვის.

თეთრმა სხლმა, რომელსაც ესმის, რომ აშკარა სამხედრო ინტერვენცია გამოიწვევს ამერიკის ახალი ადმინისტრაციისათვის ერთობ არახელსაყრელ რეაქციას როგორც თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე მთელს მსოფლიოში, გააჩაღა აქტიური პროპაგანდისტური კამპანია და ცდილობს შესაბამისად დაამუშაოს საზოგადოებრივი აზრი. ამ მიზნით ავრცელებენ სხვადასხვა სახის მონაჭორებს, თითქოსდა სალვადორელ აჯანყებულებს იარაღს საზღვარგარეთიდან აწვდიდნენ.

როგორც ამერიკის რადიოსატელევიზიო კომპანიის კორესპონდენტი იუწყება, უახლოეს დღეებში ვაშინგტონიდან მოკავშირე ქვეყნების დედაქალაქებში სალვადორის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით მიემგზავრებიან მაღალი თანამდებობის პირთა მისიები. ლონდონში, ბონში, პარიზში, ბრიუსელსა და ჰაგაში ამ კვირაში გაეგზავრებიან ვაშინგტონის ემისრები ევროპის საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ლ. იგლბერგერის მეთაურობით.

მეორე მისია, რომელსაც ლათინურ ამერიკაში თავისი ძირგამომთხრელი საქმიანობით სახელგატეხილი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ყოფილი მოადგილე ვ. უოლტერსი მეთაურობს, მიემგზავრება ლათინური ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში.

ბონი

საიდუმლო შეხვედრა

„ამერიკის შეერთებული შტატების სამი წამყვანი ევროპელი მოკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა დასავლეთ გერმანიის დედაქალაქში მოაწყვეს საიდუმლო შეხვედრა იმ შედეგების გასხილვისათვის, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამერიკის ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკას ევროპისათვის“ — იუწყება ასოშიეიტედ პრესის საააგენტო ბონიდან.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა — გენშერი, საფრანგეთისა — ფრანსუა პონსე და დიდი ბრიტანეთისა — ლორდი კარინგტონი, და თუმცა, საააგენტოს სტატეგებით, „თთვრობის წყაროებმა ბონში უარი თქვეს ეუწყებინათ გასულ ხუთშაბათს გამართული მოლაპარაკების დეტალები“, „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზოგიერთი მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირი შეშფოთებულია ანტისაბჭოთა რიტორიკის ესკალაციით“ ვაშინგტონში, რომელიც მათ მიაჩნიათ „საფრთხედ დაძაბულობის შენელებისადმი“.

„ვაშინგტონში „დაძაბულობის შენელება“ ახლა ლამის საალანძავი სიტყვა გახდა, — აღნიშნავს ამერიკის გაზეთი „კრისჩენს საიენს მონიტორი“, — დასავლეთ ევროპაში კი, განსაკუთრებით, საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ეს საარსებო აუცილებლობაა“. „დასავლეთევროპელები გვაგრძნობინებენ, რომ ისინი ერთიანი ფრონტით გამოვლენ ამერიკის შეერთებული შტატების ყოველი იმ ცდის წინააღმდეგ, რომ აიცდინოს ისინი დაძაბულობის შენელების გზას“, — აღნიშნავს გაზეთი.

კარიზი

ტერორისტული აქტი

15 თებერვალს ღამით იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პარიზის საელჩოს რაკეტები დაუშინეს. საელჩოს შენობა სერიოზულად დაზიანდა. მსხვერპლი არ არის. საფრანგეთის ელჩს იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადაეცა ამ ქვეყნის მთავრობის ნოტა, რომელშიც იგი მოითხოვს დანაშაულის გამოძიებას და ბოროტმოქმედთა დასჯას.

ბონი

ამერიკელ ჯაშუშებს ეშინიათ

ბონი. ამერიკელ ჯაშუშებს ეშინიათ, ბონის ოლიმპიადის ფარგლებში ტერორისტული აქტი ჩადიოს ბერლინის ანტიფაშისტური ბრძოლის ორგანიზაციის ერთ-ერთ ბანაკზე.

ამ ორგანიზაციის ბანაკი ბონიდან 20 კილომეტრზე ბერლინ-ბონ-ბრიუსელ-ამსტერდამ-ბონ-ბერლინ-ბონ-ბერლინ-ბონ-ბერლინ